ხელშეკრულება №66

ქ. ყვარელი 20 ივნისი 2013 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის დავით ქევხიშვილის სახით, ერთი მხრივ და შპს „ზუმერი ჯორჯია" შემდგომში "მიმწოდებლად" წოდებული, წარმოდგენილი მისი დირექტორის [illegible] სახით მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ციფრული ფოტოაპარატის GANON EOS 650D 18-55 KIT, მეხსიერების ჩიპის silikon power SD 32gb klass 10 და ფოტოაპარატის ჩანთის შესყიდვა

2. საქონლის მიწოდების ვადები და ღირებულება

2.1. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა ერთი კვირა.
2.2. საქონლის ღირებულება შეადგენს 1417 (ათასოთხასჩვიდმეტი) ლარს.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარებში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1. მიიღოს ზემოთაღნიშნული საქონელი და აანაზღაუროს მისი ღირებულება

4..2. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1. „შემსყიდველს" ზემოთ აღნიშნულ ვადებში ჩააბაროს ხელშეკრულების პირველ პუნქტში მითითებული საქონელი.

4.2.2. საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს ორ წელს

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების („შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი პირების) ხელისმოწერის შემდეგ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული დღისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.5% ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. დავათა განხილვის წესი

7.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

8. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

მისამართი კუდიგორის ქ. №1;

საბანკო რეკვიზიტები ლიბერთი ბანკის ყვარლის ფილიალი

ანგარიში №33030020 ბანკის კოდი LBRTGE22 საიდენტიფიკაციო კოდი 241578574

„მიმწოდებელი"

შპს „ზუმერი ჯორჯია"

მისამართი ქ. თბილისი წერეთლის გამზირი №1

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი"

ანგარიში GE47TB 1185636020100006 ბანკის კოდი TBCBGE22

საიდენტიფიკაციო კოდი 202462717

ყვარლის მუნიციპალიტეტის — შპს „ზუმერი ჯორჯია" -ს

გამგებელი:

დ. ქევხიშვილი

„----------"

დირექტორი:

„----------"